საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№04/3058-17 « 12 » 09 2017 წ.

მოქალაქე სალომე ცეცხლაძეს

ქალბატონო სალომე,

გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ და კომისიაში დაცულ საჯარო ინფორმაციას.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: **post@gncc.ge; www.gncc.ge**

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№04/516-16 "15" 02 2016 წ

მოქალაქე სალომე ცეცხლაძეს

ქალბატონო სალომე,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განიხილა თქვენი 2015 წლის 10 დეკემბრის წერილი (კომისიაში რეგისტრაციის №შ-6/10060-15 – 21.12.2015) არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსების რეგულირების შესახებ, რის თაობაზეც გაცნობებთ, რომ პოლიტიკური (წინასაარჩევნო) რეკლამის განთავსების წესები რეგულირებულია „საქართველოს საარჩევნო კოდექსით", „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონითა და „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის N9 დადგენილებით და აღნიშნული წესები ეხება მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდს. შესაბამისად, არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ რეკლამაზე აღნიშნული მარეგულირებელი ნორმები არ ვრცელდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ამ შემთხვევაზე საარჩევნო კოდექსის ნორმების გავრცელება კანონის ანალოგიით, ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირელი პუნქტის შესაბამისად „საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით."

ამასთან კომისიას მიაჩნია, რომ ასეთი ტიპის რეკლამა უნდა ექვემდებარებოდეს გარკვეულ რეგულაციას, რაც საკანონმდებლო აქტებში ცვლილების განხორციელებას მოითხოვს.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე ვ. აბაშიძე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge